ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს სხდომა

ოქმი № 10

ქ. თბილისი, 23 აპრილი, 2026 წელი

სხდომა გახსნა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ,

დეკანმა, ასოცირებულმა პროფესორმა მერაბ ხოხობაიამ

ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობაშია 39 წევრი

სხდომას ესწრებოდა 27 ხმის უფლების მქონე წევრი

დღის წესრიგი

1. თსუ კურსდამთავრებულთათვის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ;

*/ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი*
*მ. ჩავლეიშვილი/*

2. საგანმანათლებლო პროგრამებში განხორციელებული ცვლილებების შესახებ;
2.1ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამებში: „ეკონომიკა“ და „ტურიზმი“ განხორციელებული ცვლილებები (პროგრამების მოდიფიცირება, კერძოდ 240-დან 180 კრედიტიან საგანმანათლებლო პროგარმებზე გადასვლა)
2.2მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამაში „ეკონომიკა“ განხორციელებული ცვლილებები;

*/ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი*
*მ. ჩავლეიშვილი/*

3. კურსდამთავრებულთათვის მინიჭებული აკადემიური ხარისხის კორექტირების შესახებ;

*/ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი*
*მ. ჩავლეიშვილი/*

4. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტებისათვის სადისერტაციო თემებისა და მეცნიერ-ხელმძღვანელების დამტკიცების შესახებ;

*/ფაკულტეტის დეკანის მოადგილე მ. ლობჟანიძე/*

5. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტებისათვის დაცვის კომისიის, შემფასებლების და სააპელაციო კომისიის დამტკიცების შესახებ.

*/ფაკულტეტის დეკანის მოადგილე მ. ლობჟანიძე/*

6. მიმდინარე საკითხები

მოისმინეს: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარის, დეკანის, ასოცირებული პროფესორ მერაბ ხოხობაიას ინფორმაცია საბჭოს სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ.

ჩატარდა კენჭისყრა
კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 27
წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: დამტკიცდეს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს 2026 წლის 23 აპრილის #10 სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

საბჭოს სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვამდე ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანმა ასოცირებულმა პროფესორმა მ. ხოხობაიამ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ეკონომეტრიკის კათედრის ხელმძღვანელს, პროფესორ **იური ანანიაშვილს** გადასცა ფილიპე გოგიჩაიშვილის სახელობის მედალი, რომლითაც იგი დაჯილდოვდა ქართული ეკონომიკური მეცნიერების განვითარებაში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისათვის.

მოისმინეს: 1.1. ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის უფროსმა მ. ჩავლეიშვილმა საბჭოს წევრებს წარდუგინა ტურიზმის სკოლიდან შემოსული წერილი, რომელშიც ისინი ითხოვენ მიენიჭოთ **ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ტურიზმში** 2025-2026 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის ტურიზმის საბაკალავრო-საგანმანათლებლო პროგრამის შემდეგ კურსდამთავრებულებს:

| N | *გვარი, სახელი* | *პირადი ნომერი* | *დამატებითი სპეციალობა (Minor)* |
|---|---|---|---|

| | | | |
|---|---|---|---|
| *დიპლომი ჩვეულებრივი* | | | |
| 1. | ბიძინაშვილი ნიკოლოზ | 01011094196 | |
| 2. | ვალიშვილი ვალერი | 59601130821 | |
| 3. | მუჯირიშვილი ანამარია | 01019087939 | |
| 4. | გიორგაძე დავით | 35001127592 | |
| 5. | გიორგაძე გიორგი | 61004068995 | |

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოთქვამს
ჩატარდა კენჭისყრა
კენჭისყრის შედეგები: მომხრე 27
მოწინააღმდეგე 0

დაადგინეს: 1.1. მიენიჭოთ ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ტურიზმში 2025-2026 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის ტურიზმის საბაკალავრო-საგანმანათლებლო პროგრამის შემდეგ კურსდამთავრებულებს:

| N | *გვარი, სახელი* | *პირადი ნომერი* | *დამატებითი სპეციალობა (Minor)* |
|---|---|---|---|
| *დიპლომი ჩვეულებრივი* | | | |
| 6. | ბიძინაშვილი ნიკოლოზ | 01011094196 | |
| 7. | ვალიშვილი ვალერი | 59601130821 | |
| 8. | მუჯირიშვილი ანამარია | 01019087939 | |
| 9. | გიორგაძე დავით | 35001127592 | |
| 10. | გიორგაძე გიორგი | 61004068995 | |

მოისმინეს: 1.2. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მ. ჩავლეიშვილის ინფორმაციით შემოსულია ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის დირექტორის თამარ სულუხიას წერილი (N 6167/29 24.03.2026), რომლის შინაარსის მიხედვითაც 2026 წლის 23 მარტს თსუ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის (ISET) აკადემიურ საქმეთა კომიტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით, ეკონომიკის საბაკალავრო და სამაგიტრო პროგრამები დაასრულა კიდევ 5 (ხუთმა) სტუდენტმა.

წერილში იგი ფაკულტეტის საბჭოს მიმართავს, რომ მიანიჭონ: ეკონომიკის ბაკალავრისა და ეკონომიკის მაგისტრის აკადემიური ხარისხი 2025-26 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის (ISET) ეკონომიკის ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამების შემდეგ კურსდამთავრებულებს:

*ბაკალავრიატი - დიპლომი ჩვეულებრივი*

| სახელი | გვარი | პ/ნ |
|---|---|---|
| ელისაბედ | ნემსაძე | 01008053069 |
| ელისაბედ | რობაქიძე | 01024075825 |
| ნატალი | პეტრიაშვილი | 01408064817 |
| ნინო | მუშკუდიანი | 01024088409 |

*მაგისტრატურა - დიპლომი ჩვეულებრივი*

| სახელი | გვარი | პ/ნ |
|---|---|---|
| დაჩი | მუჯირიშვილი | 01027088917 |

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოთქვამს
ჩატარდა კენჭისყრა
კენჭისყრის შედეგები: მომხრე 27
მოწინააღმდეგე 0

დაადგინეს: 1.2.1. მიანიჭოთ *ეკონომიკის ბაკალავრისა აკადემიური ხარისხი* 2025-26 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის (ISET) ეკონომიკის ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამების შემდეგ კურსდამთავრებულებს:

*ბაკალავრიატი - დიპლომი ჩვეულებრივი*

| სახელი | გვარი | პ/ნ |
|---|---|---|
| ელისაბედ | ნემსაძე | 01008053069 |
| ელისაბედ | რობაქიძე | 01024075825 |
| ნატალი | პეტრიაშვილი | 01408064817 |
| ნინო | მუშკუდიანი | 01024088409 |

1.2.2. მიანიჭოთ *ეკონომიკის მაგისტრის აკადემიური ხარისხი* 2025-26 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის (ISET) ეკონომიკის ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამების შემდეგ კურსდამთავრებულს:

*მაგისტრატურა - დიპლომი ჩვეულებრივი*

| სახელი | გვარი | პ/ნ |
|---|---|---|
| დაჩი | მუჯირიშვილი | 01027088917 |

მოისმინეს: 2. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მ. ჩავლეიშვილის ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამებში განხორციელებული ცვლილებების შესახებ, კერძოდ, საქართველოს უმაღლესი განათლების შესახებ კანონში განხორციელებული ცვლილებების თანახმად, ფაკულტეტზე მომზადდა ბაკალავრიატის **ორი საგანმანათლებლო პროგრამა (180 კრედიტი)** შემდეგი მიმართულებით: **ეკონომიკა და ტურიზმი, ასევე ცვლილებები განხორციელდა მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამაში „ეკონომიკა“.** შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების მხარდამჭერმა კომიტეტებმა ფაკულტეტის საბჭოს წინაშე წარმოადგინეს შემდეგი ცვლილებები:

**1. ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა „ეკონომიკა“ (აკადემიური საბჭოს 2011 წლის 29 ივნისის დადგენილება N57/2011, დანართი 77)**

➢ <u>ცვლილება:</u> სასწავლო კურსის სილაბუსის განახლება/მოდიფიცირება.

• ცვლილების აღწერა: სასწავლო კურსის სილაბუსებში განხორციელდა ცვლილებები, კერძოდ, განახლდა თემატიკა, ლიტერატურა, შემდეგ სილაბუსებში:

✓ **„ინოვაციური სამეწარმეო პოლიტიკა: თეორია და პრაქტიკა** (საგანმანათლებლო პროგრამის თავისუფალი კომპონენტის არჩევითი სასწავლო კურსი);

✓ **მეწარმეობის განვითარების ეკონომიკური პოლიტიკა** (მოდული- ეკონომიკური პოლიტიკა, სავალდებულო სასწავლო კურსი);

✓ **ინდუსტრიული პოლიტიკის თეორია** (მოდული - ეკონომიკური პოლიტიკა, სავალდებულო სასწავლო კურსი);

✓ **ინოვაციური სამეწარმეო პოლიტიკა: თეორია და პრაქტიკა** (თავისუფალი კომპონენტის არჩევითი სასწავლო კურსი);

✓ **მეწარმეობის განვითარების ეკონომიკური პოლიტიკა** (მოდული - ეკონომიკური პოლიტიკა, სავალდებულო სასწავლო კურსი);

✓ **საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკის პრიორიტეტები** (პროგრამის თავისუფალი კომპონენტის არჩევითი სასწავლო კურსი, ინგლისურენოვანი);

✓ **„ფისკალური და მონეტარული სტატისტიკა“** (მოდული „ეკონომიკური და სოციალური სტატისტიკა“ სავალდებულო სასწავლო კურსი);

✓ **„ეკონომიკური განვითარება“** (მოდული „მაკროეკონომიკა“, სავალდებულო სასწავლო კურსი);

✓ **მიკროეკონომიკის პრინციპები** (საგანმანათლებლო პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსი);

✓ **მაკროეკონომიკის პრინციპები** (საგანმანათლებლო პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსი);

✓ **ტრანსნაციონალური კორპორაციები და საერთაშორისო ინვესტიციები** (მოდული ,,საერთაშორისო ეკონომიკა", სავალდებულო სასწავლო კურსი);

✓ **„თამაშთა თეორია ეკონომისტრებისთვის"**, (მოდული ,,ეკონომეტრიკა და მათემატიკური ეკონომიკა" სავალდებულო სასწავლო კურსი, სილაბუსის ავტორი შეიცვალა, მერაბ ჯულაყიძის ნაცვლად ავტორია ლ. თოთლაძე);

**საფუძველი:** სასწავლო კურსის სილაბუსების განახლება და უფრო მეტად დაახლოება თანამედროვე აკადემიურ და პროფესიულ მოთხოვნებთან.

**შენიშვნა:** ცვლილება შეეხოს 2026 წლის საგანმანათლებლო პროგრამას (180 კრედიტი), ასევე უკვე არსებულ პროგრამას (240 კრედიტი).

➢ ცვლილება: **დამატებითი პროგრამის მოხსნის შესახებ**

• **ცვლილების აღწერა:** განხორციელდა ცვლილება საგანმანთლებლო პროგრამაში, კერძოდ, მოეხსნა დამატებითი პროგრამა (60 კრედიტი).

**საფუძველი:** საკანონმდებლო ცვლილება.

**შენიშვნა:** ცვლილება შეეხოს არსებულ პროგრამას (240 კრედიტი).

➢ ცვლილება: **თავისუფალი არჩევითი სასწავლო კურსის დამატება.**

• **ცვლილების აღწერა:** კურსდამთავრებულებისთვის თანამედროვე პრაქტიკული ანალიზის უნარებისა და სასწავლო კურსების არჩევანის გაფართოების მიზნით, ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამას „ეკონომიკა" დაემატა თავისუფალი არჩევითი სასწავლო კურსი **„ხელოვნური ინტელექტი ეკონომიკაში"** (5 კრედიტი, სილაბუსის ავტორები: პროფესორი ე. ხარაიშვილი, მოწვეული პედაგოგი ლ. ადუაშვილი).

**საფუძველი:** პროგრამის გაფართოება არჩევითი კურსების შეთავაზებით.

**შენიშვნა:** ცვლილება შეეხოს 2026 წლის საგანმანათლებლო პროგრამას (180 კრედიტი), ასევე უკვე არსებულ პროგრამას (240 კრედიტი)

➢ ცვლილება: **პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსებში საკონტაქტო საათების ცვლილება**

• **ცვლილების აღწერა:** პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსებში: **„უცხო ენა 1", „უცხო ენა 2"** შეიცვალა საკონტაქტო საათები, კერძოდ იგი განაწილდა შემდეგნაირად: ECTS 5 კრედიტის 125 საათი; მათ შორის, **საკონტაქტო - 60 საათი;** (კვირაში 4 სთ. პრაქტიკული) და **65 საათი დამოუკიდებელი მუშაობა.**

**საფუძველი:** პროგრამის სასწავლო კურსებში საკონტაქტო საათების კორექტირება, სტუდენტთა დამოუკიდებელი მუშაობის საათების ოპტიმიზაცია.

**შენიშვნა:** ცვლილება შეეხოს არსებულ პროგრამას (240 კრედიტი)

➢ ცვლილება: **პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსებში ავტორებისა და წამკითხველი ლექტორების ცვლილება**

- **ცვლილების აღწერა:** ჯანმრთელობის მდგომარეობის და გარდაცვალების გამო სასწავლო პროცესს ჩამოშორდა რამოდენიმე პედაგოგი, რამაც გამოიწვია სასწავლო კურსების სილაბუსების განახლება, ავტორებისა და წამკითხველი ლექტორების ცვლილება. აღნიშნული ცვლილება შეეხო შემდეგ სასწავლო კურსებს:

✓ **„სტატისტიკა ეკონომიკისა და ბიზნესისთვის 2“,** (პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსი, წამკითხველი ლექტორებიდან ამოღებულია მერაბ ხმალაძე და მის ნაცვლად შეყვანილია გიორგი მიქელაძე);

✓ **„ეროვნულ ანგარიშთა სისტემა“** (პროგრამის სვალდებულო სასწავლო კურსი, წამკითხველი ლექტორებიდან ამოღებულია მარინა მუჩიაშვილი);

✓ **„სტატისტიკა ტურიზმისათვის“** (ტურიზმის პროგრამის საბაკალავრო სავალდებულო სასწავლო კურსი, სილაბუსში ავტორებსა და ლექტორებში დამატებულია ასოც. პროფ., ოთარ აბესაძე);

✓ **„ფისკალური და მონეტარული სტატისტიკა“,** (მოდული „ეკონომიკური და სოციალური სტატისტიკა“ სავალდებულო სასწავლო კურსი, სილაბუსის ავტორებიდან და ლექტორებიდან ამოღებულია მარინა მუჩიაშვილი)

✓ **„მოსახლეობის სტატისტიკა“,** (მოდული „ეკონომიკური და სოციალური სტატისტიკა“ სავალდებულო სასწავლო კურსი, სილაბუსში ლექტორებიდან ამოღებულია მერაბ ხმალაძე და მის ნაცვლად შეყვანილია ირინა მაისურაძე)

✓ **„ტურიზმის სტატისტიკა“,** (მოდული „ეკონომიკური და სოციალური სტატისტიკა“ სავალდებულო სასწავლო კურსი, სილაბუსში ავტორებსა და ლექტორებში დამატებულია ოთარ აბესაძე);

✓ **„სტატისტიკა ეკონომიკისა და ბიზნესისთვის“** (პროგრამის არჩევითი სასწავლო კურსი, ინგლისურენოვანი, ავტორებიდან და წამკითხველი ლექტორებიდან ამოღებულია მარინა მუჩიაშვილი და მის ნაცვლად შეყვანილია გიორგი მიქელაძე).

✓ **„ეკონომიკური განვითარება“,** (მოდული „მაკროეკონომიკა“ სავალდებულო სასწავლო კურსი, სილაბუსის ავტორი შეიცვალა, რამაზ აბესაძის ნაცვლად ავტორებია ნ. კაკულია, მ. ჩიქობავა);

✓ **„თამაშთა თეორია ეკონომისტებისთვის“,** (მოდული „ეკონომეტრიკა და მათემატიკური ეკონომიკა“ სავალდებულო სასწავლო კურსი, სილაბუსის ავტორი შეიცვალა, მერაბ ჯულაყიძის ნაცვლად ავტორია ლ. თოთლაძე);

**საფუძველი:** პედაგოგის გარდაცვალება, სამსახუროდან წასვლა საკუთარი სურვილით ან ჯანმრთელობის მდგომარეობა, ახალი აკადემიური პერსონალის დამატება.

**შენიშვნა:** ცვლილება შეეხოს 2026 წლის საგანმანათლებლო პროგრამას (180 კრედიტი), ასევე უკვე არსებულ პროგრამას (240 კრედიტი).

2. მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა „ეკონომიკა“ (აკადემიური საბჭოს 2011 წლის 29 ივნისის დადგენილება N57/2011, დანართი 80)

➢ <u>ცვლილება:</u> სასწავლო კურსის სილაბუსის წინაპირობის მოხსნა

- **ცვლილების აღწერა:** განხორციელდა ცვლილებები, კერძოდ, წინაპირობა მოეხსნა სასწავლო კურსს **„ეკონომიკური უსაფრთხოების პოლიტიკა“** (კონცენტრაცია - „ეკონომიკური პოლიტიკა და ეკონომიკური დიპლომატია“, სავალდებულო კურსი);

**საფუძველი:** სასწავლო კურსის შინაარსიდან გამომდინარე წინაპირობების დაზუსტება

➢ ცვლილება: **სასწავლო კურსის სილაბუსის განახლება/მოდიფიცირება.**

- **ცვლილების აღწერა:** განხორციელდა ცვლილებები, კერძოდ, განახლდა თემატიკა, ლიტერატურა სასწავლო კურსების შემდეგ სილაბუსებში:

✓ **საქართველოს საგარეო ეკონომიკური პოლიტიკა** (ეკონომიკური პოლიტიკისა და ეკონომიკური დიპლომატიის კონცენტრაციის არჩევითი კურსი);

✓ **ახალი პოლიტიკური ეკონომია** (ეკონომიკური პოლიტიკისა და ეკონომიკური დიპლომატიის კონცენტრაციის არჩევითი კურსი);

✓ **აკადემიური წერა** (პროგრამის არჩევითი კურსი);

✓ **ეკონომიკური უსაფრთხოების პოლიტიკა** (ეკონომიკური პოლიტიკისა და ეკონომიკური დიპლომატიის კონცენტრაციის სავალდებულო კურსი);

✓ **საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკა ევროკავშირში ინტეგრაციის გზაზე** (ეკონომიკური პოლიტიკისა და ეკონომიკური დიპლომატიის კონცენტრაციის არჩევითი კურსი).

**საფუძველი:** სასწავლო კურსის სილაბუსების განახლება და უფრო მეტად დაახლოება თანამედროვე აკადემიურ და პროფესიულ მოთხოვნებთან.

**შენიშვნა:** ცვლილება შეეხოს 2026 წლის საგანმანათლებლო პროგრამას (180 კრედიტი), ასევე უკვე არსებულ პროგრამას (240 კრედიტი)

➢ ცვლილება: **პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსებში ავტორებისა და წამკითხველი ლექტორების ცვლილება**

- **ცვლილების აღწერა:** ჯანმრთელობის მდგომარეობის და გარდაცვალების გამო სასწავლო პროცესს ჩამოშორდა რამოდენიმე პედაგოგი, რამაც გამოიწვია სილაბუსების განახლება, ავტორებისა და წამკითხველი ლექტორიების ცვლილება. აღნიშნული ცვლილება შეეხო შემდეგ სასწავლო კურსებს:

✓ **,,მონეტარული და ფინანსური სტატისტიკა“,** (სავალდებულო სასწავლო კურსი, კონცენტრაცია ,,ეკონომიკური და ბიზნესის სტატისტიკა“, ავტორებიდან და ლექტორებიდან ამოღებულია მარინა მუჩიაშვილი).

✓ **„მაკროეკონომიკური სტატისტიკა“,** (სავალდებულო სასწავლო კურსი, კონცენტრაცია ,,ეკონომიკური და ბიზნესის სტატისტიკა“, ავტორებიდან და ლექტორებიდან ამოღებულია მარინა მუჩიაშვილი).

✓ **,,დემოგრაფიული სტატისტიკა“,** (სავალდებულო სასწავლო კურსი, კონცენტრაცია ,,ეკონომიკური და ბიზნესის სტატისტიკა“, ლექტორებიდან ამოღებულია მერაბ ხმალაძე და დაემატა მოწვეული ლექტორი ირინა მაისურაძე);

✓ **,,საჯარო ფინანსების სტატისტიკა“,** (არჩევითი სასწავლო კურსი, კონცენტრაციები: ,,ეკონომიკური და ბიზნესის სტატისტიკა“ და ,,სოციალური და დემოგრაფიული სტატისტიკა“ ლექტორებიდან ამოღებულია მარინა მუჩიაშვილი და მის ნაცვლად შეყვანილია ნანა ასლამაზიშვილი).

**საფუძველი:** პედაგოგის გარდაცვალება, სამსახურიდან წასვლა საკუთარი სურვილით ან ჯანმრთლობის მდგომარეობა, ახალი აკადემიური პერსონალის დამატება.
**შენიშვნა:** ცვლილება შეეხოს 2026 წლის საგანმანათლებლო პროგრამას (180 კრედიტი), ასევე უკვე არსებულ პროგრამას (240 კრედიტი).

**3. ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა „ტურიზმი" (აკადემიური საბჭოს 2011 წლის 29 ივნისის დადგენილება N57/2011, დანართი 79)**

- ცვლილება: **სასწავლო კურსების კრედიტების მოცულობის ცვლილება.**

- **ცვლილების აღწერა:** საგანმანათლებლო პროგრამაში სასწავლო კურსების მიზნების, სწავლის შედეგების, შესასწავლი თემების, შესასრულებელი ამოცანების ინტენსივობის, მოცულობისა და სირთულის შესაბამისად განხორცილდა კრედიტებისა და საათების მოცულობის (საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობა) კორექტირება. გამომდინარე აქედან, ცვლილება შეეხო პროგრამის შემდეგ სავალდებულო სასწავლო კურსებს:

ა. **„უცხო ენა 1"**(5 კრედიტი), **„უცხო ენა 2"** (5 კრედიტი), **„უცხო ენა 3"** (5 კრედიტი), **„უცხო ენა 4"** (5 კრედიტი), შეიცვალა საკონტაქტო საათები, კერძოდ იგი განაწილდა შემდეგნაირად: ECTS 5 კრედიტის 125 საათი; მათ შორის, **საკონტაქტო - 60 საათი;** (კვირაში 4 სთ. პრაქტიკული) და **65 საათი დამოუკიდებელი მუშაობა**

ბ. **„ფინანსური მენეჯმენტის საფუძვლები"** (იყო 5 კრედიტი და გახდა 4 კრედიტი; საკონტაქტო საათები 45; დამოუკიდებელი მუშაობა - 55);

გ. **„საქართველოს ტურისტულ რეკრეაციული რესურსები"** (იყო 5 კრედიტი და გახდა 4 კრედიტი; საკონტაქტო საათები 45; დამოუკიდებელი მუშაობა - 55);

დ. **„ტურიზმის სამართალი"** (იყო 5 კრედიტი და გახდა 4 კრედიტი; საკონტაქტო საათები 45; დამოუკიდებელი მუშაობა - 55);

ე. **„ტურის დაგეგმვა და გიდის ხელოვნება"** (იყო 5 კრედიტი და გახდა 4 კრედიტი; საკონტაქტო საათები 45; დამოუკიდებელი მუშაობა - 55);

ვ. **„დაჯავშნის სისტემა ამადეუსის საფუძვლები: პრაქტიკული კურსი"** (იყო 5 კრედიტი და გახდა 4 კრედიტი; საკონტაქტო საათები 45; დამოუკიდებელი მუშაობა - 55);

ზ. **„ღინისძიებათა დაგეგმვა ტურიზმსა და მასპინძლობაში"** (იყო 5 კრედიტი და გახდა 4 კრედიტი; საკონტაქტო საათები 45; დამოუკიდებელი მუშაობა - 55);

თ. **„საკვებითა და სასმელით მომსახურების მენეჯმენტი"** (იყო 5 კრედიტი და გახდა 4 კრედიტი; საკონტაქტო საათები 45; დამოუკიდებელი მუშაობა - 55);

**საფუძველი:** პროგრამის სასწავლო კურსებში საკონტაქტო საათების კორექტირება, სტუდენტთა დამოუკიდებელი მუშაობის საათების ოპტიმიზაცია.
შენიშვნა: ცვლილება შეეხოს 2026 წლის საგანმანათლებლო პროგრამას.

- ცვლილება: **დამატებითი პროგრამის მოხსნის შესახებ**

- **ცვლილების აღწერა:** განხორციელდა ცვლილება საგანმანთლებლო პროგრამაში, კერძოდ, მოეხსნა დამატებითი პროგრამა (60 კრედიტი).

საფუძველი: საკანონმდებლო ცვლილება.
შენიშვნა: ცვლილება შეეხოს 2026 წლის საგანმანათლებლო პროგრამას.

➢ ცვლილება: **თავისუფალი კომპონენტის არჩევითი სასწავლო კურსის დამატება**

- **ცვლილების აღწერა:** კურსდამთავრებულებისთვის თანამედროვე პრაქტიკული ანალიზის უნარებისა და სასწავლო კურსების არჩევანის გაფართოების მიზნით, ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამას „ტურიზმი" დაემატა ახალი თავისუფალი არჩევითი სასწავლო კურსები: **„კომუნიკაციები ტურიზმსა და მასპინძლობაში"** (5 კრედიტი, სილაბუსის ავტორი: ასოცირებული პროფესორი ნ. კაციტაძე); **„სასტუმროს დიზაინი მასპინძლობის მენეჯმენტში"** (5 კრედიტი, სილაბუსის ავტორები: ნ. კაციტაძე, მოწვეული ლექტორი ნ. თუშიშვილი);

საფუძველი: პროგრამის გაფართოება არჩევითი კურსების შეთავაზებით.
შენიშვნა: ცვლილება შეეხოს 2026 წლის საგანმანათლებლო პროგრამას (180 კრედიტი), ასევე უკვე არსებულ პროგრამას (240 კრედიტი)

➢ ცვლილება: **პროგრამის სასწავლო კურსების სტატუსის (არჩევითი და სავალდებულო) ცვლილება**

- **ცვლილების აღწერა:** განხორციელდა პროგრამის სასწავლო კურსებში სტატუსის ცვლილებები, კერძოდ ცვლილება შეეხო შემდეგ სასწავლო კურსებს:

1. თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო სასწავლო კურსებს: **„მსოფლიო ხელოვნების ისტორია"(5 კრედიტი), „საქართველოს საზოგადოებრივი გეოგრაფია"(5 კრედიტი), „სოციოლოგიის შესავალი"(5 კრედიტი)**, - შეეცვალათ სტატუსი და გახდა არჩევითი სასწავლო კურსი;
2. არჩევითი სასწავლო კურსებს: **„საქართველოს ტურისტულ-რეკრეაციული რესურსები"(4 კრედიტი) შეიცვალა სტატუსი და გახდა** პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსი;
3. არჩევითი სასწავლო კურსებს: ა. **„ტურის დაგეგმვა და გიდის ხელოვნება"** (4 კრედიტი); ბ.**"აგროტურიზმი"** (5 კრედიტი); გ) **„დაჯავშნის სისტემა ამადეუსის საფუძვლები: პრაქტიკული კურსი" (4 კრედიტი)** შეეცვალა სტატუსი და გახდა მოდულის „ტურიზმის მენეჯმენტი" სვალდებულო სასწავლო კურსი; დ) **„საკუთრების მართვის სისტემა ოპერა" (5 კრედიტი)** და **„ღონისძიებათა დაგეგმვა ტურიზმსა და მასპინძლობაში" (4 კრედიტი)** გახდა მოდულის „მასპინძლობის მენეჯმენტი" სავალდებულო სასწავლო კურსი.
4. მოდულის „ტურიზმის მენეჯმენტი" სავალდებულო სასწავლო კურსი **„ტუროპერატორული ბიზნესი" (5 კრედიტი) გახდა პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსი**

საფუძველი: კურსის დანერგვა პასუხობს როგორც პროგრამის განვითარების საჭიროებას, სწავლის შედეგებს, ასევე ზრდის სტუდენტთა პროფესიული შესაძლებლობების გაფართოებისთვის.
შენიშვნა: ცვლილება შეეხოს 2026 წლის საგანმანათლებლო პროგრამას

➢ ცვლილება: **სასწავლო კურსის სილაბუსის განახლება/მოდიფიცირება.**

• ცვლილების აღწერა: განხორციელდა ცვლილებები, კერძოდ, დაზუსტდა სასწავლო კურსის სახელწოდება, შეიცვალა სილაბუსის ავტორი, განახლდა თემატიკა, ლიტერატურა სასწავლო კურსების შემდეგ სილაბუსებში:

✓ **საქართველოს ტურისტულ რეკრეაციული რესურსები** (ავტორები: მ. ღვინჯილია, ი. ხელაშვილი - დაემატა სილაბუსის ავტორი);

✓ **ტურის დაგეგმვა და გიდის ხელოვნება** (ავტორი ნ. კაციტაძე, მ. ალადაშვილი განახლდა დაზუსტდა სასწავლო კურსის სახელწოდება);

✓ **ღონისძიებათა დაგეგმვა ტურიზმსა და მასპინძლობაში**" (ავტორი ნ. კაციტაძე, განახლდა და დაზუსტდა სასწავლო კურსის სახელწოდება);

**საფუძველი:** სასწავლო კურსის სილაბუსების განახლება და უფრო მეტად დაახლოება თანამედროვე აკადემიურ და პროფესიულ მოთხოვნებთან.

**შენიშვნა:** ცვლილება შეეხოს 2026 წლის საგანმანათლებლო პროგრამას (180 კრედიტი), ასევე უკვე არსებულ პროგრამას (240 კრედიტი)

➢ ცვლილება: **პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსებში წინაპირობებში ცვლილება**

• ცვლილების აღწერა: სწავლის შედეგებიდან და შინაარსიდან გამომდინარე დაზუსტდა და წინაპირობები შეეცვალა პროგარმის შემდეგ სასწავლო კურსებს:

✓ **„დაჯავშნის სისტემა ამადეუსის საფუძვლები: პრაქტიკული კურსი"** - წინაპირობად განესაზღვრა: "ინფორმატიკა ეკონომიკასა და ბიზნესში";

✓ **„საკუთრების მართვის სისტემა ოპერა: პრაქტიკული კურსი"** - წინაპირობად განესაზღვრა: "ინფორმატიკა ეკონომიკასა და ბიზნესში";

✓ **„ტურიზმი და ტრანსპორტის ინდუსტრია"** -მოეხსნა წინაპირობა;

✓ **„ეკოტურიზმი"** - დამატებით წინაპირობად განესაზღვრა: საქართველოს ტურისტულ-რეკრეაციული რესურსები.

**საფუძველი:** სასწავლო კურსის შინაარსიდან გამომდინარე წინაპირობების დაზუსტება.

**შენიშვნა:** ცვლილება შეეხოს 2026 წლის საგანმანათლებლო პროგრამას (180 კრედიტი),

**აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოთქვამს**
**ჩატარდა კენჭისყრა**
**კენჭისყრის შედეგები: მომხრე 27**
**მოწინააღმდეგე 0**

**დაადგინეს:** დამტკიცდეს საგანმანათლებლო პროგრამებში: 1. ბაკალავრიატის **საგანმანათლებლო პროგრამა „ეკონომიკა"** (აკადემიური საბჭოს 2011 წლის 29 ივნისის დადგენილება N57/2011, დანართი 77); 2. მაგისტრატურის **საგანმანათლებლო პროგრამა „ეკონომიკა"** (აკადემიური საბჭოს 2011 წლის 29

ივნისის დადგენილება N57/2011, დანართი 80); 3. ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა „ტურიზმი“ (აკადემიური საბჭოს 2011 წლის 29 ივნისის დადგენილება N57/2011, დანართი 79) განხორციელებული ცვლილებები წარმოდგენილი სახით.

მოისმინეს: 3. ფაკულტეტის ხასიასხის სამსახურის უფროსმა ქალბატონ მ. ჩავლეიშვილმა საბჭოს წევრებს გააცნო ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე შემოსული წერილით (№8302/10, 20.04.2026) სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტმა ყოფილი მიკროეკონომიკისა და მენეჯმენტის ფაკულტეტის 1999 წლის კურსდამთავრებულ ლევან დავითაშვილის განცხადების საფუძველზე მოითხოვა კურსდამთავრებულისთვის მინიჭებული აკადემიური ხარისხის დაზუსტება.

თსუ სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი საარქივო მასალების საფუძველზე დადგინდა, რომ ლევან თამაზის ძე დავითაშვილი 1995 წელს ჩაირიცხა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინრო-ეკონომიკის ფაკულტეტის საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ორგანიზაცია და მართვა საწარმოში სპეციალობაზე (ბრძანება #4/508, 09.08.1995).

მიკროეკონომიკისა და მენეჯმენტის ფაკულტეტის დასწრებული სწავლების საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ორგანიზაცია და მართვის სპეციალობის 1998-1999 სასწავლო წლის კურსდამთავრებულ ლევან დავითაშვილს მიკროეკონომიკისა და მენეჯმენტის ფაკულტეტის საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ორგანიზაცია და მართვა საწარმოს სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1999 წლის 25 ივნისის გადაწყვეტილებით (შემაჯამებელი სხდომის ოქმი №6) მიენიჭა ბაკალავრის აკადემიური ხარისხი საგარეო ეკონომიკური კავშირების მენეჯერის კვალიფიკაციით, ხოლო ხარისხის მინიჭების შესახებ თსუ რექტორის 1999 წლის 14 ივლისის №4/660 ბრძანებით მიენიჭა ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი საგარეო ეკონომიკური კავშირების მენეჯერის კვალიფიკაციით და მიეცა დიპლომი წარჩინებით.

1999 წლის დიპლომების გაცემის სარეგისტრაციო ჟურნალში დიპლომი BH№01117, (სარეგისტრაციო №01/301) რეგისტრირებულია ლევან გაფრინდაშვილის სახელზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ორგანიზაცია და მართვა საწარმოოს სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1999 წლის 25 ივნისის გადაწყვეტილებით (შემაჯამებელი ოქმი №6) მინიჭებული ხარისხი ზოგადი სახისაა და არ არის შესაბამისობაში ხარისხის მინიჭების შესახებ თსუ რექტორის 1999 წლის 14 ივლისის №4/660 ბრძანებით მინიჭებულ ხარისხთან.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, უნდა შესწორდეს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიკროეკონომიკისა და მენეჯმენტის ფაკულტეტის საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ორგანიზაცია და

მართვა საწარმოოს სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის გადაწყვეტილება (ოქმი №6, 25.07.1999) და დღის განყოფილების ბაკალავრიატის კურსდამთავრებულ ლევან დავითაშვილს ნაცვლად მინიჭებული ხარისხისა *„ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, საგარეო ეკონომიკური კავშირების მენეჯერის კვალიფიკაციით“* უნდა მიენიჭოს *„ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, საგარეო ეკონომიკური კავშირების მენეჯერის კვალიფიკაციით“.*

ფაკულტეტის საბჭოს ეთხოვა განეხილა ლევან დავითაშვილისთვის მინიჭებული კვალიფიკაციის/ხარისხის დაზუსტების (კორექტირების) საკითხი და განხორციელებული ცვლილება გავრცელდეს მიკროეკონომიკისა და მენეჯმენტის ფაკულტეტის საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ორგანიზაცია და მართვა საწარმოოს სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმში (№6, 25.07.1999) დაფიქსირებულ დღის განყოფილების ყველა კურსდამთავრებულზე.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოთქვამს
ჩატარდა კენჭისყრა
კენჭისყრის შედეგები: მომხრე 27
მოწინააღმდეგე 0

დაადგინეს:

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ყოფილი მიკროეკონომიკისა და მენეჯმენტის ფაკულტეტის დღის განყოფილების საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ორგანიზაციისა და მართვის სპეციალობის კურსდამთავრებულ ლევან დავითაშვილს ნაცვლად მინიჭებული ხარისხისა *„ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, საგარეო ეკონომიკური კავშირების მენეჯერის კვალიფიკაციით“* მიენიჭოს *„ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, საგარეო ეკონომიკური კავშირების მენეჯერის კვალიფიკაციით“.*
2. *აღნიშნული ცვლილება გავრცელდეს* ყოფილი მიკროეკონომიკისა და მენეჯმენტის ფაკულტეტის საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ორგანიზაციისა და მართვის საწარმოოს სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმში (№6, 25.06.1999) მითითებულ დღის განყოფილების საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ორგანიზაციისა და მართვის სპეციალობის ყველა კურსდამთავრებულზე *(იხ. მიკროეკონომიკისა და მენეჯმენტის ფაკულტეტის საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ორგანიზაცია და მართვა საწარმოოს სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმი №6, 25.06.1999)* და მათ დიპლომებში ცვლილებები განხორციელდეს ინდივიდუალური მომართვის შემთხვევაში.

მოისმინეს: 4. ფაკულტეტის დეკანის მოადგილე მ. ლობჟანიძე საბჭოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა დოქტორანტების სადისერტაციო თემები და ხელმძღვანელები:

*1. ზურაბ აბრამიშვილი - „მდგრადი მონეტარული პოლიტიკის განხორციელების პერსპექტივები ხელოვნური ინტელექტის გამოყენებით საქართველოში“.* მეცნიერ-ხელმძღვანელი: *ასოცირებული პროფესორი ნაზირა კაკულია;*

*2. მარიამ შარია - "საქართველოს ტურიზმის ღირებულებათა ჯაჭვის იმპორტზე დამოკიდებულების შემცირების ძირითადი სტრატეგიული მიმართულებები".* მეცნიერ-ხელმძღვანელი: *პროფესორი იოსებ ხელაშვილი*

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვეს პროფესორმა ი. ხელაშვილმა აკადემიკოსმა ა. სილაგაძემ, პროფესორმა რ. გველესიანმა.

ჩატარდა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე 27

მოწინააღმდეგე 0

დაადგინეს: დამტკიცდეს დოქტორანტთა სადისერტაციო თემები და ხელმძღვანელები წარმოდგენილი სახით:

*1.ზურაბ აბრამიშვილი - „მდგრადი მონეტარული პოლიტიკის განხორციელების პერსპექტივები ხელოვნური ინტელექტის გამოყენებით საქართველოში“.* მეცნიერ-ხელმძღვანელი: *ასოცირებული პროფესორი ნაზირა კაკულია*

*2.მარიამ შარია - "საქართველოს ტურიზმის ღირებულებათა ჯაჭვის იმპორტზე დამოკიდებულების შემცირების სტრატეგიული მიმართულებები".* მეცნიერ-ხელმძღვანელი: *პროფესორი იოსებ ხელაშვილი*

მოისმინეს: 5. ფაკულტეტის დეკანის მოადგილე მ. ლობჟანიძე საბჭოს წევრებს წარუდგინა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტებისათვის დაცვის კომისიის, შემფასებლების და სააპელაციო კომისიების შემადგენლობები:

*5.1 ბიზნესის ადმინისტრირების* სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ *ნინო გოგიტიძის* სადისერტაციო ნაშრომის *„ციფრული მარკეტინგის გამოყენების თავისებურებები და პერსპექტივები საქართველოს ბანკებში”* (მეცნიერ-ხელმძღვანელი: *პროფესორი ნუგზარ თოდუა)* დაცვის კომისია, შემფასებლები და სააპელაციო კომისია.

შემფასებლები:

პროფესორი გიორგი ბერულავა - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ასოცირებული პროფესორი ოქრუაშვილი ნანა

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოთქვამს

ჩატარდა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე 27

მოწინააღმდეგე 0

დაადგინეს: დამტკიცდეს ნინო გოგიტიძის შემფასებელები წარმოდგენილი სახით.

მოისმინეს: მ. ლობჟანიძემ საბჭოს წევრებს წარუდგინა ნინო გოგიტიძის სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია:

1. პროფესორი დავით ნარმანია
2. პროფესორი ეთერ ხარაიშვილი
3. პროფესორი სიმონ გელაშვილი
4. ასოცირებული პროფესორი ჩარიტა ჯაში
5. ასოცირებული პროფესორი მარინე კობალავა
6. ასოცირებული პროფესორი ბ. მღებრიშვილი
7. ასოცირებული პროფესორი ეკატერინე უროტაძე
8. ასოცირებული პროფესორი მაია სეთური
9. ასოცირებული პროფესორი ლია ბერიკაშვილი (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი)
10. ასოცირებული პროფესორი კახა ჯაყელი (შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი)
11. ასოცირებული პროფესორი ხათუნა ბარბაქაძე
12. ასოცირებული პროფესორი ეკა ჩოხელი
13. ასოცირებული პროფესორი ნინო აბესაძე
14. ასისტენტ პროფესორი მარინა ალანია

სააპელაციო კომისია:

1. ასოცირებული პროფესორი მანანა ხარხელი
2. ასოცირებული პროფესორი ნატო კაკაშვილი
3. ასისტენტ პროფესორი ლეილა ქადაგიშვილი
4. ასოცირებული პროფესორი ნინო ფარესაშვილი
5. ასისტენტ პროფესორი ეკა გულუა

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოთქვამს

ჩატარდა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე 27

მოწინააღმდეგე 0

დაადგინეს: დამტკიცდეს ნინო გოგიტიძის დაცვისა და სააპელაციო კომისიები წარმოდგენილი სახით.

მოისმინეს: 5.2. *ბიზნესის ადმინისტრირების* სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ *ლევანი დანელიას* სადისერტაციო ნაშრომის *„ სოციალური მედიის გავლენა საქართველოს ტურისტული მომსახურების მომხმარებელთა ქცევაზე”* (მეცნიერ-ხელმძღვანელი: *პროფესორი ნუგზარ თოდუა)* შემფასებლები:
ასოცირებული პროფესორი მაია სეთური
ასოცირებული პროფესორი ეკა ბახტაძე - ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოთქვამს
ჩატარდა კენჭისყრა
კენჭისყრის შედეგები: მომხრე 27
მოწინააღმდეგე 0

დაადგინეს: დამტკიცდეს ლევანი დანელიას შემფასებლები წარმოდგენილი სახით.

მოისმინეს: ფაკულტეტის დეკანის მოადგილემ მ. ლობჟანიძემ საბჭოს წევრებს წარუდგინა ლევანი დანელიას სადისერტაციო ნაშრომის დაცვის და სააპელაციო კომისიები:
1. პროფესორი დავით ნარმანია
2. პროფესორი ეთერ ხარაიშვილი
3. პროფესორი დემურ სიჭინავა
4. ასოცირებული პროფესორი მერაბ ხოხობაია
5. ასოცირებული პროფესორი ჩარიტა ჯაში
6. ასოცირებული პროფესორი მარინე კობალავა
7. ასოცირებული პროფესორი ბ. მღებრიშვილი
8. ასოცირებული პროფესორი ეკატერინე უროტაძე
9. ასოცირებული პროფესორი ნანა ოქრუაშვილი
10. ასოცირებული პროფესორი ლია ბერიკაშვილი (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი)
11. ასოცირებული პროფესორი კახა ჯაყელი (შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი)
12. ასოცირებული პროფესორი ნანა კაციტაძე
13. ასოცირებული პროფესორი ნინო აბესაძე
14. ასისტენტ პროფესორი მარინა ალანია

სააპელაციო კომისია:
1. ასოცირებული პროფესორი ეკა ჩოხელი
2. ასოცირებული პროფესორი ვალერი არღუთაშვილი
3. ასოცირებული პროფესორი ხათუნა ბერიშვილი
4. ასოცირებული პროფესორი გიული ქეშელაშვილი
5. ასისტენტ პროფესორი დეა ფირცხალაიშვილი

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოთქვამს
ჩატარდა კენჭისყრა
კენჭისყრის შედეგები: მომხრე 27
მოწინააღმდეგე 0

დაადგინეს: დამტკიცდეს ლევან დანელიას დისერტაციის დაცვისა და სააპელაციო კომისიები წარმოდგენილი სახით.

მიმდინარე საკითხები: 6.1. ფაკულტეტის დეკანის მოადგილემ ქალბატონმა მანანა ლობჟანიძემ საბჭოს წევრებს წარუდგინა ინფორმაცია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ყოფილი საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის 1991 წლის კურსდამთავრებულთათვის დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების - **ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების რეკვიზიტების დადგენა/აღდგენის შესახებ.** კერძოდ, ყოფილი საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის 1991 წლის კურსდამთავრებულ მამუკა ჩაგელიშვილის სახელზე დაკარგული დიპლომის აღდგენის თაობაზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მამუკა ჩაგელიშვილის სახელზე უნდა გაიცეს ახალი დიპლომი, რომელიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 22 ივნისის №126/ნ ბრძანების თანახმად, ითვალისწინებს ჩარიცხვის ბრძანებისა და აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების თარიღისა (რიცხვი, თვე, წელი) და ნომრის მითითებას. ამასთან დაკავშირებით, თსუ იურიდიული დეპარტამენტის განმარტებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 24 მარტის №162 ბრძანების გამოცემამდე არსებული ნორმატიული აქტებით დამტკიცებული დიპლომის ფორმები არ ითვალისწინებდა აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების (ოქმის) თარიღისა და ნომრის მითითების ვალდებულებას. მხოლოდ ზემოაღნიშნული ბრძანების მიღების შემდეგ გახდა სავალდებულო აღნიშნული რეკვიზიტის დიპლომის ფორმაში მითითება. აქედან გამომდინარე, ამჟამად მოქმედი დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების დადგენის მიზნით, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2014 წლის 16 აპრილის №55/01-01 ბრძანების საფუძველზე კონკრეტული საქმის გარემოებების გათვალისწინებით საქართველოს კანონმდებლობით დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო ზოგიერთი მონაცემის დაუდგენლობისას, დიპლომზე მისათითებელი შესაბამისი ინფორმაციის შექმნაზე უფლებამოსილი ორგანო (ან მისი უფლებამონაცვლე) ვალდებულია „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" შესაბამისად ჩაატაროს ადმინისტრაციული წარმოება და საქმის გარემოებების გამოკვლევის

შედეგად მიღებული გადაწყვეტილებით დაადასტუროს ან/და შექმნას შესაბამისი ინფორმაცია.

დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების დადგენის მიზნით, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურმა ჩაატარა ადმინისტრაციული საქმისწარმოება და წარმოდგენილი საარქივო მასალების შესწავლის საფუძველზე დაადგინა, რომ **მამუკა ნოეს ძე ჩაგელიშვილი** 1984 წელს ჩარიცხული იქნა თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის დღის განყოფილების მანქანათმშენებელი მრეწველობის ეკონომიკისა და ორგანიზაციის სპეციალობაზე (ბრძანება №4/630,25.08.1984).

1985 წლის ნოემბრიდან საბჭოთა არმიის რიგებში გაწვევის გამო II კურსის სტუდენტს მიეცა აკადემიური შვებულება (ბრძანება №4/1070, 21.11.85) და 1987 წლის ნოემბერში ჩაითვალა აკადემიური შვებულებიდან დაბრუნებულად საბჭოთა არმიის რიგებიდან დემობილიზებული საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის მანქანათმშენებლობის ეკონომიკისა და ორგანიზაციის სპეციალობის დღის სწავლების II კურსის სტუდენტი მამუკა ნოეს ძე ჩაგელიშვილი (ბრძანება №4/3070, 30.11.1987).

საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის დღის განყოფილების მანქანათმშენებელი მრეწველობის ეკონომიკისა და ორგანიზაციის სპეციალობის 1991 წლის კურსდამთავრებულ მამუკა ნოეს ძე ჩაგელიშვილს საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის №46 სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1991 წლის 29 ივნისის სხდომის (ოქმი უნომროა) გადაწყვეტილებით და ხარისხის მინიჭების შესახებ თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 1991 წლის 17 ივლისის №4/496 ბრძანებით მიენიჭა ინჟინერ-ეკონომისტის კვალიფიკაცია და მიეცა დიპლომი ჩვეულებრივი.

1991 წლის დიპლომების გაცემის სარეგისტრაციო ჟურნალში დიპლომი УВ №813666 (სარეგისტრაციო №01/118) რეგისტრირებულია მამუკა ნოეს ძე ჩაგელიშვილის სახელზე.

სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტმა და თსუ არქივმა წერილთან ერთად წარმოადგინა 1991 წელს საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის მიერ წარმოებული სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის 10 ოქმი. ყველა ოქმზე მითითებულია თარიღი, მაგრამ არ არის დანომრილი. წარმოდგენილი დოკუმენტებიდან ირკვევა. რომ 1991 წელს ყოფილ საინჟინრო-ეკონომიკურ ფაკულტეტზე მოქმედებდა ოთხი კომისია, რომელთა მიერ წარმოებულია საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის დღის, საღამოს და დაუსწრებელი სწავლების სხვადასხვა სპეციალობებში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმები.

***საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის №... (პირობითად პირველი) სახელმწიფო საგამოცდო კომისიის*** *(კომისიის თავმჯდომარე: ე.მ.კ. სერგო*

*კარლოს ძე სანაძე; წევრები: დოც. კლიმენტი ვასილის ძე აჩელაშვილი, დოც. იური შალვას ძე ანანიაშვილი, დოც. ანზორი ალექსანდრეს ძე დავითაია, დოც. ვაჟა გიორგი ძე მათურელი, ე.მ.დ. ვლადიმერ გიორგის ძე პაპავა; მდივანი: დალი გრიგორის ასული კონიაშვილი)* მიერ 1991 წლის 18 ივნისს წარმოებულია 1 ოქმი, რომელსაც არ აქვს მინიჭებული ნომერი.

***საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის №... (პირობითად მეორე) სახელმწიფო საგამოცდო კომისიის*** *(კომისიის თავმჯდომარე: ვაჟა ალექსანდრე ძე ტუღუში; წევრები: დოც. თამაზ სერგოს ძე ბარამიძე, დოც. გივი ლევანის ძე პარკაძე, დოც. მურთაზ ვახტანგის ძე მაღრაძე, დოც. ვაჟა ალექსის ძე გოგიჩაიშვილი, უფ. მასწ. მალხაზ მიხეილის ძე კონიაშვილი, მარლენ რუბენის ძე გობეჯიშვილი; მდივანი: ჯენეტი ილიას ასული ბოლაშვილი)* მიერ 1991 წლის 19 ივნისს წარმოებულია 2 ოქმი, რომელთაც არ აქვს მინიჭებული ნომერი.

***საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის №39 (პირობითად მესამე) სახელმწიფო საგამოცდო კომისიის*** *(კომისიის თავმჯდომარე: მირონ კარლოს ძე ტუღუში; წევრები: ალექსანდრე ზურაბის ძე ტატიშვილი, ალექსანდრე ალექსანდრეს ძე კუჭუხიძე, ნოდარ სიკოს ძე ბიჭიაშვილი, მიხეილ მიხეილის ძე კიკნაძე, ოთარ კონსტანტინეს ძე ავალიშვილი, ზაირა თევდორეს ასული ღუდუშაური, ომარ მიხეილის ძე გიგიაშვილი, ლია ანტონის ასული კაპანაძე, სერგო მამიას ძე გელაშვილი; მდივანი: ი. დათუნაშვილი)* მიერ 1991 წლის 26 ივნისს წარმოებულია 5 ოქმი, რომელთაც არ აქვს მინიჭებული ნომერი.

***საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის №46 (პირობითად მეოთხე) სახელმწიფო საგამოცდო კომისიის*** *(კომისიის თავმჯდომარე: ტარიელ გიორგის ძე ჯაბაური; წევრები: ნ. ნ. პაიჭაძე, დ. პ. ძნელაძე, პ. დ. ჩაგელიშვილი, ს. კ. ჩოჩიშვილი, გ. ი. ჩანადირი, ვ. ა. ენუქიძე, თ. მ. ლუტიძე; მდივანი: გ. მოსიაშვილი)* მიერ 1991 წლის 29 ივნისს წარმოებულია 2 ოქმი, რომელთაც არ აქვს მინიჭებული ნომერი.

როგორც წარმოდგენილი დოკუმენტებიდან ირკვევა, სახელმწიფო საგამოცდო კომისიების მიერ წარმოებული ოქმების დანომვრა ხდებოდა ერთმანეთისგან დამოუკიდებლად. ამასთან, მიზანშეწონილია ოქმების დანომვრა განხორციელდეს თარიღების მიხედვით. თუ კომისიას ერთი და იმავე თარიღით ექნებათ წარმოებული რამდენიმე ოქმი, მაშინ მხედველობაში მისაღებია სხვა მონაცემებიც. ამჟამად, დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების დადგენის/აღდგენის მიზნით უნდა მოხდეს საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის მიერ 1991 წელს წარმოებული უნომრო ოქმებისთვის ნომრების მინიჭება და ნომრის პირობითობის აღსანიშნავად ასო „პ"-ს დამატება.

ასოცირებულმა პროფესორმა, ქალატონ მანანა ლობჟანიძემ საბჭოს წევრებს მიმართა თხოვნით, რომ განიხილონ ყოფილი საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის მიერ 1991 წელს

წარმოებული სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმები, მათთვის სავალდებულო რეკვიზიტების მინიჭების საკითხი და მიღებული გადაწყვეტილება გავრცელდეს შესაბამის ოქმებში დაფიქსირებულ ყველა კურსდამთავრებულზე.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოთქვამს
ჩატარდა კენჭისყრა
კენჭისყრის შედეგები: მომხრე 27
მოწინააღმდეგე 0

დაადგინეს:

1. **აღდგენილად ჩაითვალოს** 1991 წელს თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის №... *(პირობითად პირველი)* სახელმწიფო საგამოცდო კომისიის მიერ წარმოებული ეკონომიკური კიბერნეტიკის *(დღე)* სპეციალობის კურსდამთავრებულთათვის ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებები, ამ გადაწყვეტილებებში არსებული ინფორმაცია და ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების რეკვიზიტები (ოქმის თარიღი და ნომერი) განისაზღვროს შემდეგნაირად:
   - საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის დღის განყოფილების **ეკონომიკური კიბერნეტიკის** სპეციალობის კურსდამთავრებულებს **ეკონომისტ-მათემატიკოსის** კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1991 წლის 18 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს **1991 წლის 18 ივნისი** და ოქმის ნომრად **№1/3.**

2. **აღდგენილად ჩაითვალოს** 1991 წელს თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის №... *(პირობითად მეორე)* სახელმწიფო საგამოცდო კომისიის მიერ წარმოებული ეკონომიკური ინფორმატიკისა და მართვის ავტომატიზებული სისტემების *(დღე, საღამო)* სპეციალობის კურსდამთავრებულთათვის ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებები, ამ გადაწყვეტილებებში არსებული ინფორმაცია და ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების რეკვიზიტები (ოქმის თარიღი და ნომერი) განისაზღვროს შემდეგნაირად:
   - საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის დღის განყოფილების **ეკონომიკური ინფორმატიკისა და მართვის ავტომატიზებული სისტემების** სპეციალობის კურსდამთავრებულებს **ინჟინერ-ეკონომისტის** კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1991 წლის 19 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს **1991 წლის 19 ივნისი** და ოქმის ნომრად **№1/3.**

- საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის საღამოს განყოფილების **ეკონომიკური ინფორმატიკისა და მართვის ავტომატიზებული სისტემების** სპეციალობის კურსდამთავრებულებს **ინჟინერ-ეკონომისტის** კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1991 წლის 19 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს **1991 წლის 19 ივნისი** და ოქმის ნომრად **№2/პ.**

3. **აღდგენილად ჩაითვალოს** 1991 წელს თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის №39 *(პირობითად მესამე)* სახელმწიფო საგამოცდო კომისიის მიერ წარმოებული მშენებლობის ეკონომიკისა და ორგანიზაციის *(დღე, საღამო, დაუსწრებელი),* საყოფაცხოვრებო მომსახურების ეკონომიკისა და ორგანიზაციის *(დღე),* კავშირგაბმულობის ეკონომიკისა და ორგანიზაციის *(დაუსწრებელი)* სპეციალობების კურსდამთავრებულთათვის ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებები, ამ გადაწყვეტილებებში არსებული ინფორმაცია და ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების რეკვიზიტები (ოქმის თარიღი და ნომერი) განისაზღვროს შემდეგნაირად:

- საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის დღის განყოფილების **მშენებლობის ეკონომიკისა და ორგანიზაციის** სპეციალობის კურსდამთავრებულებს **ინჟინერ-ეკონომისტის** კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1991 წლის 26 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს **1991 წლის 26 ივნისი** და ოქმის ნომრად **№1/პ.**
- საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის საღამოს განყოფილების **მშენებლობის ეკონომიკისა და ორგანიზაციის** სპეციალობის კურსდამთავრებულებს **ინჟინერ-ეკონომისტის** კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1991 წლის 26 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს **1991 წლის 26 ივნისი** და ოქმის ნომრად **№2/პ.**
- საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის დაუსწრებელი განყოფილების **მშენებლობის ეკონომიკისა და ორგანიზაციის** სპეციალობის კურსდამთავრებულებს **ინჟინერ-ეკონომისტის** კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1991 წლის 26 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს **1991 წლის 26 ივნისი** და ოქმის ნომრად **№3/პ.**
- საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის დღის განყოფილების **საყოფაცხოვრებო მომსახურების ეკონომიკისა და ორგანიზაციის** სპეციალობის კურსდამთავრებულებს **ინჟინერ-ეკონომისტის** კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1991 წლის 26 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს **1991 წლის 26 ივნისი** და ოქმის ნომრად **№4/პ.**

➢ საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის დაუსწრებელი განყოფილების **კავშირგაბმულობის ეკონომიკისა და ორგანიზაციის** სპეციალობის კურსდამთავრებულებს **ინჟინერ-ეკონომისტის** კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1991 წლის 26 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს **1991 წლის 26 ივნისი** და ოქმის ნომრად **№5/3.**

4. **აღდგენილად ჩაითვალოს** 1991 წელს თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის №46 *(პირობითად მეოთხე)* სახელმწიფო საგამოცდო კომისიის მიერ წარმოებული მანქანათმშენებელი ეკონომიკისა და ორგანიზაციის *(დღე, დაუსწრებელი)* სპეციალობის კურსდამთავრებულთათვის ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებები, ამ გადაწყვეტილებებში არსებული ინფორმაცია და ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების რეკვიზიტები (ოქმის თარიღი და ნომერი) განისაზღვროს შემდეგნაირად:

➢ საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის დღის განყოფილების **მანქანათმშენებელი ეკონომიკისა და ორგანიზაციის** სპეციალობის კურსდამთავრებულებს *(მ. შ. მამუკა ჩაგელიშვილი)* **ინჟინერ-ეკონომისტის** კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1991 წლის 29 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს **1991 წლის 29 ივნისი** და ოქმის ნომრად **№1/3.**

➢ საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის დაუსწრებელი განყოფილების **მანქანათმშენებელი ეკონომიკისა და ორგანიზაციის** სპეციალობის კურსდამთავრებულებს **ინჟინერ-ეკონომისტის** კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1991 წლის 29 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს **1991 წლის 29 ივნისი** და ოქმის ნომრად **№2/3.**

5. **ზემოაღნიშნული პირობები გავრცელდეს** ყოფილი საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის მიერ 1991 წლის 18 ივნისს, 19 ივნისს, 26 ივნისს და 29 ივნისს წარმოებულ სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმებში *(იხ. 1. 1991 წლის 18 ივნისის საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის №.. სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმი; 2. 1991 წლის 19 ივნისის საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის №... სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმები; 3. 1991 წლის 26 ივნისის საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის №39 სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმები; 4. 1991 წლის 29 ივნისის საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის №49 სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმები)* მითითებულ ყველა კურსდამთავრებულზე და მათ დიპლომებში ცვლილებები განხორციელდება ინდივიდუალური მომართვის შემთხვევაში.

**მიმდინარე საკითხები: 6.2.** აკადემიკოსმა **ა. სილაგაძემ** საბჭოს წევრებს გააცნო აქტუალური საკითხები, რომლებიც უკავშირდება ფაკულტეტის შემდგომ განვითარებას. კერძოდ: 1. მან გამოთქვა მოსაზრება კლასიფიკატორთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ სასურველია ეს შესაბამისობაში იყოს იუნესკოს კლასიფიკატორთან, რომლის მიხედვითაც ეკონომიკისა და ბიზნეს ადმინისტირების მიმართულებები განიხილება არა ცალ-ცალკე, არამედ ერთი ქუდის „ეკონომიკა“ ქვეშ; 2. აღნიშნულიდან გამომდინარე, მომავალში შესაძლებელია აგრეთვე მსჯელობა ფაკულტეტის სახელწოდების შესახებაც, რათა ფაკულტეტს ერქვას „ეკონომიკური“ რომელიც თავის თავში გააერთიანებს როგორც ეკონომიკის, ასევე ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებასაც. 3. აქტუალური და გამოწვევაა ფაკულტეტისთვის სააუდიტორიო ფონდის საკითხიც, ვინაიდან მკვეთრად იზრდება სტუდენტთა რაოდენობა. სასურველია უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ იზრუნოს, რომ თსუ მაღლივი კორპუსი განკუთვნილი იყოს მხოლოდ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტისთვის. 4. სასურველია აგრეთვე გაძლიერდეს მეცადინეობების მონიტორინგი.

პროფესორმა **თ. შენგელიამ** ასევე გამოთქვა მოსაზრება აუდიტორიების საკითხთან დაკავშირებით. ეს ეხება როგორც სააუდიტორიო ფონდს, რესურს ცენტრების და აუდიტორიების ტექნიკურ აღჭურვილობასაც, რაც გასაუმჯობესებელია.

ფაკულტეტის დეკანმა ასოცირებულმა პროფესორმა **მ. ხოხობაიამ** აღნიშნა, რომ ფაკულტეტის ადმინისტრაციამ ჩაატარა სისტემური მონიტორინგი, რათა გამოევლინა აუდიტორიების ტექნიკურ უზრუნველყოფასთან დაკავშირებული პრობლემები. მისი თქმით იგეგმება 2 ახალი კომპიუტერული კლასის მოწყობა, პროექტორების მონტაჟი. მან მზაობა გამოთქვა აკადემიკოს ა. სილაგაძის მიერ დასმული საკითხებზე მსჯელობასთან დაკავშირებით და ასევე მონიტორინგში დეკანატის ჩართულობასთან დაკავშირებითაც.

**ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს**

**თავმჯდომარე, დეკანი, ასოცირებული პროფესორი** **მ. ხოხობაია**

**მდივანი, ასოცირებული პროფესორი** **ლ. თოთლაძე**